



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიო“-ს
მრჩეველთა საბჭოს 2014 წლის ანგარიში

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ;
2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები და მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი;
3. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები;
4. ინფორმაცია დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;
5. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
6. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;

7. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-სთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;

8. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;

9. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

10. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

სამაუწყებლო პოლიტიკა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, ექვემდებარება მუდმივ განახლებასა და დახვეწას.

2013 წლის 17 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე მრჩეველთა საბჭომ დროის მცირე მონაკვეთში შეძლო მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილებები სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დასაფუძნებლად, რადგან მრჩეველთა საბჭო მუშაობდა არასრული შემადგენლობით, მიღებულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დროებითი დებულება. მრჩეველთა საბჭოს მეოთხე წევრის შემომატებისთანავე პირველივე სხდომაზე მოხდა დებულების მიღება, რომელიც მოგვიანებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა. (იხ. დანართი N1).

მრჩეველთა საბჭო, რომელიც მუშაობდა არასრული შემადგენლობით (ნაწილობრივ ეს დღემდე გრძელდება) შეძლო დროულად მიეღო კანონით განსაზღვრულ ვადებში პროგრამული პრიორიტეტები და ბიუჯეტი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსათვის წარსადგენად.

ახალი სტატუსისა და პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისი პროდუქციის მოსამზადებლად დაიწყო რეორგანიზაცია, რის გამოც 2014 წლის ნოემბრამდე მაუწყებლობა მიმდინარეობდა ტიტრით: „არხის რეორგანიზაცია“.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტის თანახმად საბჭომ უზრუნველყო ა) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2014 წლის ბიუჯეტის მიღება და დასამტკიცებლად წარდგენა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსათვის. ბ) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თანამშრომელთა საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება. (იხ. დანართი 2).

2014 წლის 26 თებერვალს მრჩეველთა საბჭოს მორიგ სხდომაზე შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების, შრომის ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორს მიეცა რეკომენდაცია, შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ. (იხ დანართი N3.)

მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, რადიოში ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. შეიქმნა მოქნილი სტრუქტურა, განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური განახლება. აუდიო ბარათის, პროგრამული უზრუნველყოფის გასაღების სიძველის გამო, შეიცვალა პროგრამული უზრუნველყოფისა და მისი ლიცენზირების გასაღები, რომელიც ამჯერად usb პორტზე მუშაობს. შეიცვალა აუდიო ბარათიც, ამჯერად ის ყველა თანამედროვე სისტემასთან ადაპტირდება. ასევე განახლდა სამი სამონტაჟო სადგური, აუდიო ბარათები, საეთერო უზრუნველყოფა. განახლდა და სრულად გაიმართა საეთერო ბადის მაკონტროლებელი ორი დამგეგმავი სადგური. გაიმართა ცენტრალიზირებული სერვერი, ერთიანი ბაზა. გამოიცვალა დაზიანებული საეთერო პულტი. (DATEO-BCS 25 SERIES) 2014 წელს დასრულდა რადიოს სტუდიების კომპიუტერული უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, აჭარის რადიოს გავრცელების არეალი კვლავ შეზღუდულია და ვერ ფარავს აჭარის არ ძალიან დიდ ნაწილს. ტელევიზიის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ათავისუფლებს მოქმედ ტელეანტენებს და შესაძლებლობას აჩენს ანტენები გამოყენებულ იქნას რადიო დაფარვის ზონის გასაფართოებლად.

ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურისა და საკუთრივ ჟურნალისტების პროფესიული ხარისხის დასახვეწად ჩატარდა ტრენინგი თემაზე - "ახალი ამბების რეპორტაჟების მომზადება-მიმოხილვა". ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განაცხადი შერჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მიერ, „საქართველოს მედია პარტნიორობის პროგრამის“ (GMPP) ფინანსით. GMPP-ის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ხელი შეუწყონ ქართული მედიის პროფესიულ განვითარებას, რაც ამ ორგანიზაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს და საქართველოსა და აშშ-ის მედიასაშუალებებს შორის გრძელვადიანი პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებითა და ხელშეწყობით მიიღწევა. პროფესიული გაცვლების, ინდივიდუალური კონსულტაციებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების შედეგად. აჭარის ტელევიზიაში გაუმჯობესებული ჟურნალისტური პრაქტიკა, ახალი ტექნოლოგიური მიდგომები და თანამედროვე მენეჯმენტი დაინერგება.

ტელე-რადიო პროდუქტის ხარისხზე პერმანენტული დაკვირვებისათვის, მრჩეველთა საბჭოს მიმართვით და მენეჯმენტთან შეთანხმებით, შეიქმნა მულტიმედია მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი მუდმივად, გეგმიურად სწავლობს მიმდინარე პროექტებს, მათ მხატვრულ ხარისხსა და პრიორიტეტებთან შესაბამისობას და შედეგებს პერიოდულად აწვდის მრჩეველთა საბჭოსა და მენეჯმენტს. (იხ. დანართი N4).

2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები

პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას საბჭო ხელმძღვანელობდა მოქმედი კანონისა და წევრების საკანდიდატო პროგრამებში გადმოცემული ხედვების მიხედვით.

შესაბამისად პროგრამულ პრიორიტეტებში აქცენტი გაკეთებულია რეგიონის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სპეციფიკაზე. (იხ. დანართი N5).

მიმდინარე პერიოდისათვის შეგვიძლია, უკვე შევაფასოთ ტელევიზიისა და რადიოს მიერ გაწეული მუშაობის შესაბამისობის ხარისხი პროგრამულ პრიორიტეტებთან.

საბჭო მიიჩნევს, რომ მენეჯმენტმა მოახერხა პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილის გარდაქმნა. ტელევიზიის დაკვეთით შეიქმნა საავტორო დოკუმენტური ფილმები: „ბათომი 1878 წელი“, „მემთივრეები“, „განდაგანა“, „აი ია“ (ორ ნაწილად).

საანგარიშო პერიოდისათვის აჭარის ტელევიზიის ეთერით გადაიცემოდა შემდეგი პროგრამები: 1. ერთი დღე სოფელში, 2. კინოქალაქი, 3. სცენა, 4. სახლი ბათუმში, 5. ეკომიგრანტები, 6. მთვარის კლუბი, 7. რექ-თაიმი, 8. არისტენსი, 9. ჩვენი საქართველო, 10. „არტ-ჰაუსი“, 11. არჩევანის დრო, 12. პროექცია, 13. ტურისტი, 14. პორტრეტი, 15. დილის ტალღა - ახალი დილა, 16. მემკვიდრეობა, 17. აგრო რჩევები, 18. მგზავრის წერილები, 19. გალერეა, 20. ქვევრისპირული, 21. ეთნოფორი, 22. პროტოტიპი, 23. ერთი ფოტოს ისტორია, 24. მოგზაურობა ფოლკლორში, 25. ტელესპექტაკლი.

დარგობრივი ტოქ შოუ: 1. ეკონომიკური სტრატეგია, 2. სპორტი, 3. არტეოგრამა, 4. პარადიგმა, 5. მე ვარ ფერმერი, 6. იმპულსი, 7. სამართალი ხალხისთვის.

ტელევიზიის მიერ მომზადებული ტელეპროდუქცია დღეში საშუალოდ 4.25 საათია, გამეორების გარეშე.

რაც შეეხება რადიოს, 2014 წლის განმავლობაში ძირითადად მოქმედებდა 13 რადიო გადაცემა: 1. ჯანმრთელობა, 2. ჩვენი თანამედროვენი, 3. აჭარის მარგალიტები, 4. ინდიკატორი, 5. საზოგადოების ხმა, 6. პოდკასტი, 7. კომპეტენტური პასუხი, 8. მართლმსაჯულება, 9. ჯაზის საათი, 10. მთვარის კლუბი, 11. კვირის შემაჯამებელი მიმოხილვა, 12. 6-დან 7-მდე, 13. ფერმერის 5 წუთი.

კვირის განმავლობაში 112 საათიდან ათვისებული იყო 17 საათი და 45 წუთი, რაც საეთერო დროის 16 % შეადგენდა. დარჩენილი დრო შევსებული იყო მუსიკალური საათებით და საინფორმაციო გამოშვებებით.

პერსპექტივაში ნავარაუდევია საზოგადოებრივი, სპორტული და შემეცნებითი გადაცემების გაფართოება. დაგეგმილია, რადიოს ვებ გვერდის შექმნა, რაც უფრო ხელმისაწვდომს გახდის მსმენელისათვის აჭარის რადიოპროდუქტს.

ამასთანავე, შევნიშნავთ, რომ რიგ შემთხვევებში აშკარაა არასათანადო მოწადინება პრიორიტეტებით დასახული მიზნის მისაღწევად.

მაგალითად, საბჭო არადამაკმაყოფილებლად აფასებს ჟურნალისტური გამოძიების მხრივ გაწეულ მუშაობას და მენეჯმენტისაგან მოითხოვს ამ მიმართულებით მეტი ყურადღებისა და რესურსის მობილიზებას.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას საბავშვო და სპორტულ გადაცემებზე.

განვილიშა პერიოდმა და სარეორგანიზაციო გამოცდილებამ შესაძლებელი გახდა საბჭომ კრიტიკულად შეაფასოს, როგორც არსებული პროგრამული პრიორიტეტები, ასევე მენეჯმენტის მიერ გაწეული მუშაობა, ცალკეული სამსახურების ადეკვატურობა დასახულ ამოცანებთან.

ანალიზისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევების საფუძველზე დაგეგმილია ახალი პროგრამული პრიორიტეტების მიღება 2015 – 2016 წლების სატელევიზიო სეზონისათვის. მომავალ პრიორიტეტებში სავარაუდოდ დარჩება შემოქმედებითი და შემეცნებითი ნაწილი, რომელიც რეგიონის ცხოვრებასა და ისტორიასთანაა დაკავშირებული და, რომელიც მაყურებლის ინტერესის საგნად რჩება (კვლევების

მიხედვით). ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საინფორმაციო, ანალიტიკურ და სადისკუსიო მიმართულებებს. გაფართოვდება შემეცნებითი პროდუქციის სოციალური, პოლიტიკური და ეკოლოგიური ხასიათის თემატიკა.

3. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები

საზოგადოება, როგორც დამკვეთი თავისი გადასახადებით და საბოლოო მომხმარებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ შექმნილი პროდუქტისა, მისი აზრი და დამოკიდებულება ამ პროდუქტისადმი, მრჩეველთა საბჭოს განსაკუთრებული დაკვირვებისა და კვლევის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ მრჩეველთა საბჭოს ნივთიერი და შესაბამისად პერსონალური რესურსები ძალიან შეზღუდულია, საბჭო მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ამ მიმართულებით: კერძო დაკვირვებების, სოციალური ქსელის, საზოგადოებასთან შეხვედრების, საკუთარი ძალებითა და მოხალისეების დახმარებით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებისა და ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციებისათვის დაკვეთილი კვლევების მეშვეობით.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პირველი მნიშვნელოვანი ტესტი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსათვის, საზოგადოებრივ პოლიტიკური პროცესის გაშუქების ასპარეზზე. შესაბამისად, გაწეული მუშაობისა და ზოგადად სხვა ტელეპროდუქციისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა მრჩეველთა საბჭოს განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

არჩევნების შემდგომ ტენდერით შეირჩა ავტორიტეტული ორგანიზაცია (ააიპ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ (თავ-რე იაგო კაჭკაჭიშვილი)), რომლის მიერ ჩატარებული სავსე სამუშაო დაემთხვა არჩევნების შემდგომ პერიოდს. (2014 წლის ივლისის ბოლო).

კვლევის შედეგები საინტერესო სურათს იძლევა აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო პოლიტიკის ნდობის მაღალი ხარისხისადმი. აქვე იკვეთება კრიტიკული ხედვა და მოლოდინი ანალიტიკური ნაწილის დასახვეწად.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე მაყურებლის დამოკიდებულება ტელევიზიის შემოქმედებითი ნაწილისადმი. რომელმაც ერთის მხრივ დაადასტურა, მრჩეველთა საბჭოს ხედვის მართებულობა პრიორიტეტების განსაზღვრისას და ასევე: მენეჯმენტის მიერ გაწეული

მუშაობის ხარისხი. ამასთანავე, საბჭოს გაუჩინა მყარი, მეცნიერული საფუძველი მომავალში პრიორიტეტების დასახვეწად და ხარისხზე დასაკვირვებლად. (იხ. დანართი N6)

მნიშვნელოვანი ცვლილება იყო აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებების სრულ საათზე გადატანა. რომელმაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

მთავარი საინფორმაციო გამოშვების დროსთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად მრჩველთა საბჭომ ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა ბათუმის მასშტაბით. (აქვე გვსურს მაღლიერებით აღვნიშნოთ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გაწეული დახმარება (ინტერვიუერი)). გამოიკითხა 140 რესპოდენტი. კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება კვლავ ინარჩუნებს მაყურებელს. 52,14% მიიჩნევს, რომ უნდა დარჩეს მთავარი საინფორმაციო გამოშვება 21 საათზე; 3,6% აზრით, ჯობდა არ შეცვლილიყო მთავარი საინფორმაციო გამოშვების დრო, მაგრამ ახლა უნდა დარჩეს 21 საათზე. 35% მიიჩნევს, რომ მთავარი საინფორმაციო გამოშვება უნდა დაბრუნდეს 20 საათსა და 30 წუთზე. ხოლო 9,2% აზრით უნდა გამოინახოს სხვა უფრო შესაბამისი დრო. (იხ. დანართი N7).

მიმდინარე წლის ბიუჯეტით ასევე გათვალისწინებულია სრულმასშტაბიანი კვლევა.

ასევე ნიშანდობლივია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მომზადებული მედიამონიტორინგი ქარტიისა და MEMO 98-ის მიერ, რომლის მიზანი იყო შეეფასებინათ, თუ რამდენად ობიექტურად და დაბალანსებულად აშუქებდნენ კანდიდატებსა და მათ საარჩევნო პროგრამებს მაუწყებლები, რათა საქართველოს მოქალაქეებს შეძლებოდათ საკუთარი კარგად ინფორმირებული არჩევანის გაკეთება საარჩევნო ყუთებთან. პროექტის შედეგები განისაზღვრება მკაფიოდ გამოხატული და ზუსტი მეთოდოლოგიით და მიზნად არ ისახავს რომელიმე კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას, არამედ მოწოდებულია, რომ მოახდინოს მედია გარემოს გაერთიანება და ინტეგრაცია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 1 აპრილს დაიწყო 2 საზოგადოებრივი მაუწყებლის (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის ტელევიზია), 5 თბილისში არსებული კერძო მაუწყებლისა (კერძო მაუწყებლები - იმედი, კავკასია, მაესტრო, რუსთავი 2 და ტაბულა) და 6 რეგიონული მაუწყებლის (აჭარის 25-ე არხი, გურჯაანი (კახეთი), ქვემო ქართლის ტელევიზია (ქვემო ქართლი), ოდიში (სამეგრელო), რიონი (იმერეთი) და თრიალეთი (შიდა ქართლი) მონიტორინგი.

საზოგადოებრივი მაუწყებლებისა და თბილისში არსებული კერძო მაუწყებლების შემთხვევაში მონიტორინგი ძირითადად პრაიმ-თაიმის პოლიტიკურ და საინფორმაციო გადაცემებზე იყო ფოკუსირებული (18.00 – 24.00), ხოლო რეგიონული მაუწყებლების შემთხვევაში - საღამოს მთავარ საინფორმაციო გამომშვებებზე.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი ბათუმში არსებული მაუწყებელია, რომელმაც თავისი პოლიტიკური და არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბების 27.3 პროცენტი ცენტრალური და აჭარის მთავრობების ღონისძიებების გაშუქებას დაუთმო (შეადარეთ წინა საანგარიშო პერიოდის 26.1 პროცენტს). მსგავსად წინა პერიოდებისა ეს სიუჟეტებიც მეტწილად ნეიტრალური და საკმაოდ დაბალანსებული იყო. 4 მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა ეს ამბავი როდესაც მონაცემები მეორე შუალედური ანგარიში უკვე შეტანილი იყო (ეს ანგარიში მოიცავდა პერიოდს 1 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით) და რადგანაც ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვნად ითვლებოდა, ჩვენ იგი მესამე შუალედურ ანგარიშში შევიტანეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიში 15 ივნისის შემდგომ პერიოდს მოიცავს. რაც შეეხება ორი ძირითადი მეტოქე პარტიის გაშუქებას, ქართულმა ოცნებამ მეტი პროცენტი მიიღო, ვიდრე ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (31.4 პროცენტი და 24. 5 პროცენტი, შესაბამისად). გაშუქების ტონი შედარებით დაბალანსებული და ძირითადად ნეიტრალური იყო. დანარჩენი კანდიდატების გაშუქება შემცირდა (წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით), რაც გარკვეულწილად ბუნებრივიცაა, რადგანაც ბათუმში არჩევნების მეორე ტურში ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები მონაწილეობენ. შემდეგი ყველაზე ხშირად გაშუქებული პარტია ნინო ბურჯანაძე - გაერთიანებული ოპოზიციას 3.4 პროცენტი ნეიტრალური და დადებითი ინფორმაციით. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი აშუქებდა როგორც თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურს, ასევე ბათუმის არჩევნების მეორე ტურსაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი მაინც არჩევნებისათვის გამოყოფილი ეთერის უმეტეს ნაწილს 98 პროცენტს მთლიანად ბათუმის მერობის კანდიდატებს უთმობდა. უფრო დიდი რაოდენობა ეთმობოდა გიორგი ერმაკოვს (ქართული ოცნება), - 59 პროცენტი. მაშინ, როდესაც მისი გაშუქების ტონი ზოგადად დაბალანსებული იყო დადებითი და უარყოფითი ინფორმაციებით, გიორგი დიასამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) წარმოდგენილი იყო თითქმის მთლიანად ნეიტრალური ტონით. არხმა 15 ივნისის არჩევნებამდე ეთერში გაუშვა სხვადასხვა სოციალ=პოლიტიკური თოქ შოუები და პროგრამები, რომელთა მიზანსაც ამომრჩეველთა ინფორმირებულობა შეადგენდა. ეს პროგრამებია: „არჩევნების დრო“, „აირჩიე მერი“ და „არჩევნები 2014 - ეს პროგრამები არჩევნების მეორე ტურშიც გრძელდება.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების თვისებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ იგი იცავს მაუწყებელთა ქცევის კოდექსს და თავის საინფორმაციო გადაცემებში არ არღვევს ჟურნალისტურ სტანდარტებს.

ასევე ძალიან საინტერესოა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლების მედიამონიტორინგის ანგარიში. 2014 წლის 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე ქარტია აკვირდებოდა სამ საზოგადოებრივ მაუწყებელს (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი არხი: სსმ 1, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მეორე არხი: სსმ 2; აჭარის ტელევიზია) და ერთ კერძო მაუწყებელს (რუსთავი 2).

საზოგადოებრივი არხის მონიტორინგის დროს ყურადღება ექცეოდა მათ ყველა გადაცემას, კერძო არხის, რუსთავი 2-ის შემთხვევაში კი მხოლოდ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია იყენებდა მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშავებულია MEMO98-ის მიერ და რომელმაც ბოლო 16 წლის განმავლობაში მსგავსი პროექტები განახორციელა მსოფლიოს 50 ქვეყანაში. მისი შინაარსზე ორიენტირებული მიდგომა სპეციალურად არის შექმნილი მედიის პლურალიზმისა და მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, რაც ნიშნავს, რომ მონიტორინგის შედეგები უნდა წარმოადგენდეს სათანადო კონტექსტში შესწავლილ, მედიაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური მრავალფეროვნების დონის დეტალურ ანალიზსა და შეფასებას. ამავე დროს, მონიტორინგის მიზნებისათვის, მეთოდოლოგია სპეციალურად იყო შერჩეული სატელევიზიო გადაცემების მრავალფეროვნანი ასპექტების ასახვის მიზნით. შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები დაფუძნებულია დეტალურ ანალიზსა და არსებული გადაცემების სტრუქტურის შეფასებაზე და განხილულია საჭირო კონტექსტში.

4. ინფორმაცია დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ განხორციელდა დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული პროგრამების შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ინფორმაცია მოცემულია შემდეგი თანმიმდევრობით: დამოუკიდებელი პროგრამის დასახელება, მწარმოებლის სახელი და საიდენტიფიკაციო კოდი, ელექტრონული ტენდერის ნომერი, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი.

1. დილის გადაცემა - შპს „იალონი სტუდიო“ (ს/კ 445418557), SPA140004311, ხელშეკრულება მოქმედებდა: 17.03.2014 - 17.08.2014;
2. დილის გადაცემა - ი/მ „რუსუდან დადემქელიანი“ (ს/კ 01009007744), SPA140018959, ხელშეკრულება ძალაშია: 31.10.2014 - 31.10.2015;
3. დარგობრივი - შპს „გრინ ლაით სტუდიო პროდაქშენ“ (ს/კ 445437572), SPA140004754, ხელშეკრულება მოქმედებდა: 01.04.2014 - 03.08.2014;
4. დარგობრივი - შპს „ლაიმ სტუდიო“ (ს/კ 445446697), SPA140018680, ხელშეკრულება ძალაშია: 29.09.2014 - 30.09.2015;
5. სალექციო - შპს „დიდი“ (ს/კ 445437368), SPA140004755, ხელშეკრულება მოქმედებდა 01.04.2014 - 01.08.2014;
6. გადაცემა მუსიკის შესახებ - შპს „იალონი სტუდიო“ (ს/კ 445418557), SPA140005467, ხელშეკრულება მოქმედებდა: 31.03.2014 - 17.08.2014;
7. ეკომიგრანტები - შპს „კრეატივი“ (ს/კ 406114208), SPA140005470, ხელშეკრულება მოქმედებდა: 01.04.2014 - 01.08.2014;
8. ეკომიგრანტები - შპს „კრეატივი“ (ს/კ 406114208), SPA140018755, ხელშეკრულება ძალაშია: 29.09.2014 - 31.08.2015;
9. ბათუმის არქიტექტურა - შპს „ტივტივა“ (ს/კ 445438429), SPA140005479, ხელშეკრულება მოქმედებდა: 01.04.2014 - 01.08.2014;
10. ბათუმის ისტორია - შპს „ტივტივა“ (ს/კ 445438429), SPA140018756, ხელშეკრულება ძალაშია: 30.09.2014 - 31.08.2015;
11. დოკუმენტური ფილმი 1978 წლის 14 აპრილი/26 მაისის ბათუმის მოვლენების - ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასაცავად საპროტესტო გამოსვლების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ და დოკუმენტური ფილმი აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების, ბათუმისა და მთელი საქართველოსთვის 1878 წლის 25 აგვისტოს ისტორიული მნიშვნელობის შესახებ - შპს „სამეურვეო ტიხტიხი“ (ს/კ 445439516), SPA140006776, ხელშეკრულება მოქმედებდა 17.04.2014 - 31.12.2014;
12. დოკუმენტური ფილმი აჭარული ცეკვის წარმოშობის ისტორიისა და საფუძვლების შესახებ - შპს „მიფასი ფილმი“ (ს/კ 405012187), SPA140007614, ხელშეკრულება მოქმედებდა: 17.04.2014 - 31.10.2014;
13. ფოლკლორი - შპს „მიფასი ფილმი“ (ს/კ 405012187), SPA140018844, ხელშეკრულება ძალაშია: 30.09.2014 - 31.08.2015;
14. დოკუმენტური ფილმი მთაბარობის შესახებ - შპს „ტელემა“ (ს/კ 245530242), SPA140011001, ხელშეკრულება მოქმედებდა: 05.06.2014 - 30.09.2014;

15. დოკუმენტური ფილმი ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ - შპს „ტელემა“ (ს/კ 245530242), SPA140023963, ხელშეკრულება მოქმედებდა: 14.11.2014 - 31.01.2015;
16. სოფლის ყოფა - შპს „ლაიმ სტუდიო“ (ს/კ 445446697), SPA140018845, ხელშეკრულება ძალაშია: 29.09.2014 - 31.08.2015.

მრჩველთა საბჭოს მიერ ხორცილდება მონიტორინგი მაუწყებლის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე და საჭიროების შემთხვევაში მენეჯმენტს ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები. (იხ. დანართი N8).

5. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

2014 წელს სულ შემოვიდა 2 საჩივარი:

- 2014 წლის 29 აპრილს აჭარის ა/რ მთავრობის აპარატიდან შემოვიდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლის, საჩივარი, რომლითაც ის მოითხოვდა, რომ მაუწყებელს დაკისრებოდა ადრე მოქმედი აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტისაგან მის მიერ ყოველწლიურად მიღებული და 2014 წლიდან შეწყვეტილი საწარმოო ტრავმით გამოწვეული სარჩო და მკურნალობის ხარჯები. 2014 წლის 6 მაისს მას განემარტა, რომ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო არ წარმოადგენდა ლიკვიდირებული აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს, რის გამოც ის ვერ მიიღებდა მოთხოვნილ სარჩოსა და შესაბამის სამკურნალო ხარჯებს. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორმა მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმებული ტელერადიოდეპარტამენტის უფლებამონაცვლედ ცნო აჭარის ა/რ მთავრობა. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციაში.

- 2014 წლის 12 სექტემბერს შემოვიდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 7 თანამშრომლის ერთობლივი საჩივარი ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის შპს მიერ მიერ მათი CV-ების უნებართვოდ ატვირთვის შესახებ. იმის გამო, რომ მოცემულ ტენდერში გაიმარჯვა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა, რომელთანაც შემდგომში

გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება), სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის განხილვა მაუწყებლის მიერ არ განხორციელებულა. (იხ. დანართი N9).

6. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში კენჭს იყრიდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სატელევიზიო გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ ავტორი და წამყვანი ქალბატონი ნათია თავდგირიძე, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს (იმყოფებოდა რა შვებულებაში) გააკეთა რამდენიმე განცხადება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთან დაკავშირებით, რაზეც მას მაუწყებელმა მოთხოვა განმარტებები. განმარტებების მიღების შემდეგ, ის საჯარო განხილვისათვის მოწვეულ იქნა სატელევიზიო გადაცემაში.

- 2014 წლის 13 ნოემბერს აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრმა ქალბატონმა მედეა ვასაძემ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსაგან მოითხოვა იმ მასალების მიწოდება, რომლითაც მრჩეველთა საბჭოს წევრზე ბატონ ბეჟან გობაძეზე გაცა გასული თვეების შრომის ანაზღაურება. 2014 წლის 17 ნოემბერს მას წარედგინა 2014 წლის 29 ოქტომბრის #01-05/147 ბრძანება „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს წევრის - მრჩევლის ბეჟან გობაძისათვის იძულებითი მოცდენის გამო შრომის ანაზღაურების (ჰონორარის) სრული ოდენობით მიცემის შესახებ“ (იხ. დანართი N10).

7. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება 2014 წელს არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

8. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის დაფინანსების თანხა შეადგენს 6 123 000 ლარს, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი კი 350 000 ლარია, რის გათვალისწინებითაც შედგენილია აღნიშნული თანხების მუხლობრივი განაწილება, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში შრომის ანაზღაურების თანხა შეადგენს 3 324 000 ლარს, რაც 97200 ლარით აღემატება 2014 წლის ბიუჯეტის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა გულისხმობს როგორც არსებულ, ისე ახალ სატელევიზიო და რადიო პროექტებში დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფას (სატელევიზიო და რადიო პროგრამების უმეტესობა წარმოებაში ჩაეშვა 2014 წლის ნოემბრიდან). საკუთარი შემოსავლების ხარჯვის ნაწილში შრომის ანაზღაურების თანხა შეადგენს 48525 ლარს, რაც მოიცავს ორ დონორ ორგანიზაციასთან - საქართველოში გაეროს წარმომადგენლობასა და გენდერული თანასწორობის ქსელთან დადებული ხელშეკრულებებით დაფინანსებული სატელევიზიო და რადიო პროექტების ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასს.

მივლინებების ხარჯი საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 80000 ლარს, საკუთარი შემოსავლების ნაწილში კი - 40 500 ლარს, რაც მიმდინარე წლის ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით იქნა გათვლილი.

მრჩველთა საბჭოს თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 91845 ლარს ($6\,123\,000 \times 1,5\%$), ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაწილში კი 5250 ლარს (ანუ დაგეგმილი 350 000 ლარის 1,5%-ს), რაც პროექტში შეტანილი იქნა მრჩველთა საბჭოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

ადმინისტრაციული ხარჯის თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 690840 ლარს, რაც 16915 ლარით აღემატება 2014 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელს. ძირითადი ზრდა ამ მუხლის კუნქტებს შორის მოდის ტელევიზიის შენობისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის თანხებზე. ამასთან, საკუთარი შემოსავლების ნაწილში ადმინისტრაციული ხარჯის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6125 ლარს, რაც 7375 ლარით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული ძირითადად მიიღწევა წარმომადგენლობითი ხარჯების შემცირების ხარჯზე.

საინფორმაციო ხარჯების თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 139511 ლარს, რაც 4421 ლარით აღემატება 2014 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელს. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2014 წლის განმავლობაში არარეზიდენტ მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისას დაგეგმილზე ნაკლები სავალუტო კურსის არსებობით გამოწვეული ეკონომიები ბიუჯეტის ცვლილებების დროს გადატანილი იქნა სხვა მუხლებში. ამასთან, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში დაგეგმილია საინფორმაციო ხარჯების თანხა 4500 ლარით, რაც წამყვანთა ჩაცმულობის ხარჯის გაწევას გულისხმობს. აღნიშნული ხარჯი 2014 წელს გაწეული იქნა საბიუჯეტო დაფინანსებიდან.

პროდიუსინგის ხარჯების თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 524924 ლარს, რაც 37 489 ლარით მეტია 2014 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელზე. ძირითადი ზრდა აღნიშნული მუხლის ქვეკუნქტებს შორის მოდის მექანიკური საეთერო პროდუქციის (ფილმების) შექმნის ხარჯებზე და საავტორო უფლებების ჰონორარზე, რაც დაფინანსების პროპორციულად იზრდება. პროდიუსინგის ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი საკუთარი შემოსავლების ნაწილში შეადგენს 104 000 ლარს, რაც 67500 ლარით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. აქ ძირითადად იგეგმება გარე წარმოების გადაცემების შესყიდვის თანხების ზრდა.

ტექნიკური ხარჯების თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 1271880 ლარს, რაც 285230 ლარით აღემატება 2014 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელს. ძირითადი ზრდა მოდის ციფრული მაუწყებლობის აპარატურის, ვიდეოკამარების პარკის განახლების, ვიდეოჩამწერი მაგნიტოფონების შეძენის ხარჯებზე. აღნიშნული მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელი საკუთარი შემოსავლების ნაწილში შეადგენს 91100 ლარს, რაც ასევე აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს 48100 ლარით. აღნიშნული ითვალისწინებს ძირითადად სამონტაჟო კომპიუტერების, მუშა სადგურების, მიკროფონების, განათების აპარატურის შეძენას.

გადასახადების თანხა საკუთარი შემოსავლების ნაწილში შეადგენს 50 000 ლარს, რაც შემოსავლების ზრდის პროპორციულად არის გაზრდილი. ამასთან, გათვალისწინებულია როგორც ყოველთვიური, ისე წლიური გადასახადების თანხაც.

მაშასადამე, 2015 წლის პროექტის შედგენისას ძირითად პრინციპებს შეადგენს შრომის ანაზღაურების, პროდიუსინგის და ტექნიკური ხარჯების ზრდა, რაც მიმართულია ახალი პროექტების შექმნის, მექანიკური პროდუქციის შეძენის ზრდის და ტექნიკური გადაიარაღების უზრუნველსაყოფად.

N	ხარჯების დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების გეგმა
	ბიუჯეტის ასიგნებები	6123000
1	შრომის ანაზღაურება	3324000
2	მრჩეველთა საბჭო	91845
3	მივლინება	80000
4	ადმინისტრაციული	690840
5	საინფორმაციო	139511
6	პროდიუსინგი	524924
7	ტექნიკური	1271880
8	სხვა გადასახდელები	0

N	ხარჯების დასახელება	შემოსავლებიდან გასაწევის ხარჯების გეგმა
	შემოსავალი	350000
1	შრომის ანაზღაურება	48525
2	მივლინება	40500
3	მრჩეველთა საბჭო	5250
4	ადმინისტრაციული	6125
5	საინფორმაციო	4500
6	პროდუსინგი	104000
7	ტექნიკური	91100
8	სხვა გადასახდელები	50000

9. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

2014 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2014 წლის დაფინანსების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შეადგენდა 5 700 000 ლარს, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან დაიხარჯა 5 689 137,96 ლარი ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 99,81%-ს. (იხ დანართი N11).

2014 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის თანხა 201 125 ლარის ოდენობით, ფაქტიურად კი დაიხარჯა 185 657,92 ლარი ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 92,31%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

2014 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების თანხა (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს 219 910,74 ლარს, რაც 9,34%-ით აღემატება დაგეგმილ თანხას.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

N	ხარჯების დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების გეგმა	სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გაწეული ხარჯები.	გეგმის შესრულების პროცენტი(%)
	ბიუჯეტის ასიგნებები	5700000	5689137	99.81
1	შრომის ანაზღაურება	3148800	3148649	100.00
2	მრჩეველთა საბჭო	85500	84505	98.84
3	მივლინება	104600	104582	99.98
4	ადმინისტრაციული	673925	664713	98.63
5	საინფორმაციო	135090	135090	100.00
6	პროდიუსინგი	487435	487038	99.92
7	ტექნიკური	1064650	1064560	99.99
8	სხვა გადასახდელები	0	0	0.00

N	ხარჯების დასახელება	შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების გეგმა	შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები	გეგმის შესრულების პროცენტი(%)
	შემოსავლები	201125	185657	92.31
1	შრომის ანაზღაურება	56125	55725	99.29
2	მივლინება	25500	25480	99.92
3	ადმინისტრაციული	13500	6730	49.85
4	საინფორმაციო	0	0	0.00
5	პროდიუსინგი	36500	33136	90.78
6	ტექნიკური	43000	42943	99.87
7	სხვა გადასახდელები	26500	21643	81.67

10. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები

კომპანია შპს „აჭარა ელიტ აუდიტსა“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შორის 2014 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად წარმოდგენილია 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდის საგადასახადო აღრიცხვიანობის მიმოხილვა და მისი შესაბამისობის დადგენა, ამავე პერიოდებში მოქმედ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაში, რის საფუძველზეც გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ფინანსური და შიდა აუდიტორული ანგარიში მოიცავს პერიოდს - 2014 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 01 იანვრამდე და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს. (იხ დანართი N12).